ოთხშაბათი, 23 იანვარი 1908 წ.

ისარი

წელიწადი მეორე—№ 18

გაზეთი «ისარი» ერთის წლით დირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველი რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე შეტატით დირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამ

არის საინტერესო. ამ საგნის გაცილებით უფრო საინტერესო მხარე სხვა არის. უკანასკნელ ათი-თორმეტი წლის განმავლობაში ეკონომიურმა მეცნიერებამ რეალურ ცხოვრების წიგნიდან ამოიკითხა ის ჭეშმარიტება, რომ სასოფლო მეურნეობის სარბიელზე წვრილი მეურნე უფრო ნაყოფიერად მუშაობს, ვიდრე მსხვილი; წვრილ მეურნეს უფრო მეტი შემოსავალი შეუძლიან მოაცემინოს მიწას, ვიდრე მსხვილს. ამისი მიზეზი, რა თქმა უნდა, სასოფლო სამეურნეო ტეხნიკის და შრომის განსაკუთრებითი პირობებია. თანახმად ამ ჭეშმარიტებისა, სასოფლო სამეურნეო ტეხნიკის გაუმჯობესება ისტორიული დანიშნულებაა არა მსხვილ მემამულეების, არამედ წვრილ მიწის მფლობელებისა. ჩვენებური წვრილი მიწის მფლობელი—გლეხია და, აი, გლეხის თვალ-წინ ფართო საზოგადოებრივი ხასიათის სამუშაო ასპარეზი იშლება. ეს ასპარეზია—სამეურნეო ტეხნიკის გაუმჯობესება და მიწის შერჩენა.

ეროვნულ მთლიანობის და დემოკრატიის ეკონომიური გაძლიერების ინტერესი აქ ერთმანეთს ძმურად აძლევენ ხელს. ირკვევა, რა ზღაპრული სარჩული უდევს იმ აზრს, ვითომც ეროვნული ინტერესი რაღაც თავად-აზნაურული ინტერესი იყოს.

მაგრამ ესეც არ არკვევს ამ საინტერესო საქმის სრულს მნიშვნელობას. მიწის საკითხში მარტოოდენ დემოკრატიული და ეროვნული ინტერესები არ გადახლართებიან ერთურთს განუყოფელად.

სასოფლო სამეურნეო ტეხნიკის გაუმჯობესება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხელი-ხელ ჩაკიდებული სწარმოებს მიწის მუშათა საკოოპერაციო ორგანიზაციების განვითარებასთან. ეს ორგანიზაციები კი თანამედროვე ეკონომიურ მეცნიერების თვალსაზრისით იმ შინაარსს წარმოადგენენ, რომელიც განავითარებს სოციალურად მოწესრიგებულ სამეურნეო მოქმედების ჩვეულებას, ჰნერგავს ადამიანის სულში კორპორატივულს სულს, ასუსტებს და ჰკლავს ინდივიდუალისტურ გაუმაძღრობას და ამ გვარად განამზადებს სოციალისტურ წესწყობილების წინამორბედს ფსიხიკას.

როგორც ჰხედავთ, სოციალისტური იდეალი ერთის მხრივ, ხოლო დემოკრატიული და ეროვნული ინტერესები, მეორის მხრივ—ყველანი ერთად მიგვიწოდებენ სოფელში მოქმედებისკენ. სოფლის მეურნეობის განცხოველების და განვითარების პრაქტიკული ინტერესი ღრმად ჩასწვდება ჩვენი მსოფლ-მხედველობის ყველა უმთავრესს პრინციპს: დემოკრატიზმს, ნაციონალიზმს და სოციალიზმს. რომ ეს სამი პრინციპი ხელოვნურად დაკოწიწებული და ხელოვნურად გადაბმული არ არიან ჩვენს აზროვნებაში, ამას ყველაზედ უკეთესად სწორედ ის ამტკიცებს, რომ სასოფლო მეურნეობის ასპარეზზე მოქმედების გზას ეს სამივე პრინციპი ერთნაირად აღნიშნავენ და ერთსა და იმავე მიმართულებას გვიკარნახებენ.

ესაა საერთო ხასიათი ჩვენის პრინციპიალურ შეხედულებისა სოფლის ეკონომიურ ცხოვრების განვითარებაზე, მაგრამ პრინციპები და პრინციპიალური შეხედულებანი რას იზამენ, თუ მათი შესაფერი და მათთან შეთანხმებული პრაქტიკული მოქმედება არ გაჩაღდა?!

„ცისკარი“ (№ 7) წყრომის კილოთი ბრძანებს, „ისარი“ ბრალსა გვდებს,*) ვითომ ჩვენ ე. ი. „ცისკრის“ პუბლიცისტები „პოლიტიკას და კულტურას ერთმანეთს ვუპირდაპირებთ“, ვითომ ჩვენის აზრით, „უთუოდ ერთი უნდა იყოს მიზანი, მეორე კი საშუალებაო“. დიახ! „ცისკარი“ გვიწყრება: ასეთი აზრი ჩვენ პირდაპირ უარვყავითო, ამბობს იგი და განაგრძობს, „ჩვენ გადაჭრით ვთქვით, რომ კულტურა და პოლიტიკა ერთი-მეორის მიზანი და საშუალებაა თქო. აი პრინციპი. მარა ეს იმას არ ნიშნავს, ამათ თუ იმ ისტორიულ პირობებში ხან ერთს არ მიექცეს მეტი ყურადღება, ხან მეორეს“.

ხომ გესმით, მკითხველო, სად არის ძაღლის თავი დამარხული? „ცისკარი“ ამბობს, რომ კულტურა და პოლიტიკა ურთიერთისთვის მიზანიც არის, საშუალებაც, ჩვენ კი ბრალი დაგვდვია, ვითომც იმას აზრით, უთუოდ ან პოლიტიკა მიზანი იყოს და კულტურა საშუალება, ან კიდევ კულტურა მიზანი იყოს და პოლიტიკა კი საშუალება. ვნახოთ ეხლა ვინ უფრო მართალია:

„ცისკარი“ (№ 3) სწერდა: „აქ საყურადღებო აი რა არის: მიხედვით იმისა, თუ როგორია არსებული მომენტი, ამის მიხედვით განისაზღვრება ის, თუ რას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება: კულტურულ მუშაობას, თუ პოლიტიკურ საქმეს; **პირველი საქმე უნდა დაემორჩილოს მეორეს, როგორც საშუალება, თუ პირიქით** (კურსივი ჩვენია).

„ისარში“ (№ 12) ჩვენ ვწერდით: „სიამოვნებით ვეგებებით კულტურულ მუშაობის განცხოველებასო, სწერს „ცისკარი“, მაგრამ ნურას უკაცრავოდ, რომ ჩვენის აზრით ორში ერთი უნდა იყოს: ან კულტურული მუშაობა უნდა დაემორჩილოს პოლიტიკურ განახლებისათვის მუშაობას, როგორც ემორჩილება საშუალება მიზანს, და ან, პირიქით, პოლიტიკა უნდა დაემორჩილოს კულტურასო. ესეც არა კმარა, გაზეთს „ცისკარს“ ესეც არ მიაჩნია საკმაოდ. ნურას უკაცრავოდო, განაგრძობს იგი, რომ ჩვენ დიალექტიკოსები გახლავართ და ამიტომ, ჩვენის რწმენით, ერთი და იგივე ადამიანი ერთსა და იმავე საკითხს დღეს თუ ალთის მხარესა ჰხრის, ხვალ ბალთის მხარეზე უნდა გადაჰხრიდეს. **ნურას უკაცრაოდ, მაგრამ ხან კულტურა პოლიტიკის მიზანია, ხოლო ხან კი პოლიტიკა კულტურისა**“.

დაუფიქრდით, მკითხველო, ამ ციტატებს და ბრძანეთ, რა უთქვამს გაზეთს „ისარს“ ისეთი, რომ ცილის-წამებას ჰგვანდეს. არა სთქვა „ცისკარმა“, რომ არსებულ მომენტის მიხედვით ხან პოლიტიკა მიზნად დასკუპდება, კულტურა კი მას საშუალებად გაუხდება და ხან პირიქითო? დიახ, სთქვა. „ისარს“ არაფერი ცილისწამება არ ჩაუდენია. მაგრამ „ცისკარი“ მაინც მართალია. მართალია, რადგან „ცისკარმა“ ესეც სთქვა და ამაზე მეტიც. ეს მეტი ისაა, რომ იმის „პრინციპით“—კულტურა და პოლიტიკა ერთი მეორის საშუალებაა. ჩვენს პირველს წერილში „ცისკრის“ ამ აზრისთვის გარკვევით არ გაგვისვამს ხაზი, რადგან თვით „ცისკარს“ ვერ გაებედნა მაშინ გარკვევით თავის შეხედულების გამოთქმა. იგი სწერდა: „ჩვენ არ შეგვიძლიან კულტურული მუშაობა და პოლიტიკური მოძრაობა **მკაცრად დაუპირდაპიროთ ერთმანეთს როგორც მიზანი და საშუალებაო** (კურსივი ჩვენია)“, ეხლა კი („ცისკარი“ № 7) აცხადებს: „ჩვენ გადაჭრით ვთქვით, რომ კულტურა და პოლიტიკა ერთი-მეორის მიზანი და საშუალებაა თქო. აი პრინციპი“.

მართალი ხართ, „ცისკრის“ პუბლიცისტებო! ეხლა უფრო გარკვევით და ნათლად აგვყავთ პრინციპის სიმაღლეზე იეზუიტური აზრი, რომ არ არსებობს არც მიზანი და არც საშუალება, ყველაფერი გამოდგება მიზნადაც და საშუალებადაც; რომ თავისთავად არც კულტურაა მიზანი, არც პოლიტიკა, ხოლო საჭიროების მიხედვით კულტურაც და პოლიტიკაც—ორივე შეიძლება გამოცხადდენ მიზნად ან საშუალებად. ეს თქვენი ნამდვილი პრინციპია, ამ პრინციპის შინაარსი—პარტიულ გაძლიერების ანგარიშია; როცა ამ ანგარიშში პოლიტიკა დასძალავს, მაშინ იგი იქნება მიზანი, ხოლო კულტურა კი საშუალება, მაგრამ თუ გარემოება შეიცვალა და პარტიულ ძლიერების ანგარიშებში კულტურამ დასძლია, მაშინ ეს უკანასკნელი მიზნად იქცევა, ხოლო პოლიტიკა კი საშუალებად. იეზუიტობას რომ გიკიჟინებდით ჩვენს პირველს წერილში, აი სწორედ ამ უპრინციპობის გაპრინციპებისათვის... თქვენ თუ საგაზეთო პოლემიკაში გამარჯვება გწადიათ, მიირთვით—ამას ადვილად დაგითმობთ. ჩვენ კი—ჩვენ ეს გამარჯვება არ გვაინტერესებს. ჩვენი მიზანია, თქვენი იეზუიტობის სრული გამომჟღავნება მთელს სიგრძე-სიგანეზე და გვადლობთ, რომ ამ მძიმე საქმეში თვალსაჩინო დახმარებას გვიწევთ. ვიდრე თქვენი პასუხი დაიბეჭდებოდა, ისეთი მტკიცე ხელის ჩასაჭიდი არა გვქონდა ქვეყნის თვალ-წინ თქვენი იეზუიტური პრინციპის გამოსატანად, როგორც ეხლა. ეხლა კი ყველას ნათლად შეუძლიან დაინახოს, რომ თქვენი პრინციპია უპრინციპობა იმის შესახებ, თუ რა არის მიზანი და რა არის საშუალება, კულტურა თუ პოლიტიკა.

აქამდე თეორიულად ანუ პრინციპიალურად ვარკვევდით ჩვენსა და „ცისკრის“ პუბლიცისტების სხვა და სხვაობას საზოგადო ხასიათის საკითხების შესახებ, რამდენადაც ეს სხვადასხვაობა კონკრეტულ სადავო საკითხის გარშემო გამოჩნდა. ეხლა თვით ამ საკითხს დავუბრუნდეთ. აქ „ცისკარი“ ისევ თავისას გაიძახის, კულტურა პოლიტიკას უნდა დაექვემდებაროსო და თავის აზრის დასამტკიცებლად ერთი ახალი, ხელის-ხელ საგოგმანებელი არგუმენტი მოჰყავს. აი, ეს არგუმენტი: „[illegible] სახელმწიფო წყობილება, [illegible] მისი შკოლაც; საფრანგეთის [illegible] ლა ემსახურება რესპუბლიკანიზმს, გერმანიის მონარქიზმს, და სხ. რასაკვირველია, შკოლა სხვასაც ემსახურება—მეცნიერების მიცემას, მარა რამდენად ეს ცოდნა შეეხება პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობას — პოლიტიკური მიზანი ამ ცოდნაში ჩაქსოვილია“.

განა რომ არ გვეთქვა, ეს ციტატა „ცისკრიდან“ არის ამოღებულიო, უიმისოდ კი ვერ იცნობდით იმის დამწერ პუბლიცისტებს?—რა თქმა უნდა, იცნობდით. სხვას ვის ჰგონია საქართველოში ქართველ მარქსისტების გარდა, რომ რახან ასე და ასე ხდება, აუცილებლად სწორედ ასეც უნდა მოხდესო, „უნდა“—არა ისტორიულ ან ლოღიკურ აუცილებლობის აზრით, არამედ ზნეობრივ ვალდებულების აზრით? ქართულ მარქსიზმის აზროვნება თეორიულად ზნეობრივ კისრის მოჭრაა ფაქტების წინაშე, ისტორიულ მიმდინარეობის მონად თავის გასყიდვაა—ამიტომაც ბრძანებენ „ცისკრის“ პუბლიცისტები, საფრანგეთში და გერმანიაში შკოლა პოლიტიკას ემსახურება, ამიტომ ეს ფაქტი პრინციპად უნდა ვაღიაროთ და ჩვენც პოლიტიკას დაუმორჩილოთ სკოლაო. მაგრამ, უცნაურნო პუბლიცისტნო, ისიც ხომ გცოდნიათ, რომ საფრანგეთში და გერმანიაში სკოლა ემსახურება იქ არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს. აქედამ ხომ ლოღიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს, რომ რუსეთის სკოლაც მსახური იქნება და არის კიდეც რუსეთში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმის ე. ი. თვითმპყრობელობითის ბიუროკრატიზმისა. მაშ რატომ შუა გზაზე სჩერდებით და არა ბრძანებთ, რომ რუსეთის სკოლა უნდა ემსახურებოდეს ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის პოლიტიკურ რეჟიმს? გრცხვენიანთ თუ გამბედაობა გაკლიათ? ნუ ხართ ლაჩარი აზროვნებაში! ან უარჰყავით მონური პრინციპი ცხოვრების მიმდინარეობის გამოცხადებისა ზნეობრივ ვალდებულებად და ან სრული მონა შეიქენით ამ მიმდინარეობისა. ან დაუმორჩილეთ სკოლა პოლიტიკას და აწარმოვეთ რუსეთის სკოლებში შავრაზმული პოლიტიკა და ან უარჰყავით ის არგუმენტი, რომ ყოველ ქვეყანაში სკოლა იქ არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს ემსახურება.

---

*) დღევანდელ წერილის დასაწყისი იხ. „ისარი“ № 17, მეთაური წერილი.

ფელეტონი

შეშლილნი

სურათი მეორე

(შემდეგი*)

გამოსვლა 1.

(იგივე სცენა. ფარდის ახდისას განმარტოვებით სხედან ბრმა და მაქსი, პირველი პირაქეთ, მეორე ზურგ შექცევით. ანდრონიკა ერთ ხესთან გაჩერებულა, ცალი ხელით ოდნავ ზედ ეყრდნობილი, მეორეში კი გაზეთი ჩაუბღუჯავს და გაქვავებული სივრცეს გაჰყურებს. ადამ მარტო ზის და იდაყვ დაყრდნობით აივანს მიჩერებია. ძლიერ გახდარა, სანთლივით ჩაყვითლებული და თვალებ ჩაცვენილი კაცია. სახეზე დიდი დაფიქრება ემჩნევა. ტიგრან ადამის პირდაპირ გაშეშებულა მუმიასავით. თავი ოდნავ ჩაუქინდრავს და გაბუტულა. ყაფლანის მიხვრა-მოხვრა და ლაპარაკი დინჯი და ბუნებრივია. ფარდის ახდისას დადის ხეებს შუა და რაღაცას გაფაციცებით ეძებს, ოდნავ თავ-დახრილი. მარჯვენა ფეხის კოჭთან შარვლის შიგნით მიმული აქვს ქისა, გავსებული ფერადის კენჭებით და სხვა წვრილმანი საგნებით, რომელსაც ეზოში აგროვებს. გამობურთული ქისა სიარულის დროს ჩხარუნობს. მეთვალყურე—მიუდგამს სკამი ერთ ხესთან და გაზეთს ჰკითხულობს. ორი მოსამსახურე—სხვა და სხვა ადგილიდან თვალყურს ადევნებს. მცირე პაუზა).

ყაფლან. (დაეყრდნობა მიწას, აიღებს რაღაც ბრჭყვიალას, დააჭკნება და სახე გაბრწყინებული აუტყდება ხითხითი. მივა მეთვალყურესთან): გინდა მოგყიდო ბრილიანტი?

მეთვალყ. რა ღირს?

ყაფლან. ასი თუმანი.

მეთვალყ. ოო, ეგ ძვირია. უკანასკნელი ფასი?

ყაფლან. არ მინდა, ბრუტიანი ყოფილხარ. (განშორდება ხითხითით, იხსნის ქისას და იხსავს შიგ ნაპოვნ საგანს. ქისას ისევ მიიბამს).

მაქსი (უეცრივ გამოარბენს სცენის შუა გულში და შედგება), ოო, მეკი ჯვარდაწერილები მეგონეთ. (იმ ადგილს გაქვავდება).

ყაფლან (მეთვალყურეს). ზაქარ! ბანქო აქა გაქვს?

მეთვალყ. მე ზაქარა არა ვარ, ბატონო ყაფლან.

ყაფლან როგორ არა: ზაქარა მეჯლინე ხარ, მე რომ ვალში ცოლი წაგართვი. (ხითხითებს გესლიანად).

მეთვალყ ინებეთ ბანქო.

ყაფლან (ჩამოართმევს, მერე მივალ მოახლებს თვალს და ტიგრანთან მივა ოდნავ შეეხება) მოდი, ქალალდი ვითამაშოთ!

ტიგრან (გაუნძრევლად). მოიცა, კაცო, არ დამამსხვრიო. ვერა ჰხედავ, შუშაბანდი ვარ?

ყაფლან მოდი, მოდი, თუ ღმერთი გწამს!

ტიგრან. დალოცვილო, მუდამ მე როგორ მოვიდე?

ყაფლან (უკმაყოფილოდ). მოდი!

ტიგრან ვა, მე რომ მივიდე, შენ ხომ უნდა წახვიდე?

ყაფლან (ზიზღით) წადი!

ტიგრან არა ძმაო, მე მოსვლა ვიცი და არა წასვლა. მე თუ მოვალ, შენ წახვალ, შენ თუ მოხვალ, მე იქ ვიქნები. არა .. რათ ვიქნები, თუ კი ჩემი სურვილი არ იქნება?

ყაფლან. დღეს მაწონი გიჭამია?

ტიგრან (მოიღრუბლება). ვა, მუდამ რომ მე არა ვჭამო, რა იქნება, ერთხელ იმანაც მჭამოს? განა ყველაფერი თქვენ სურვილზე უნდა მოეწყოს? ერთი მაწონსაც ჰკითხეთ, თანახმაა თუ არა? განა ისკი ადამიანი არ არის? არა, ადამიანი რად იქნება, როცა ჩემი ფეხებია; ჩემი ფეხები რომ არ ყოფილიყო, ადამიანიც მაშინ იქნებოდა და მაწონიც, თორემ უფეხოდ მაწონი რა ადამიანია?

ყაფლან. მოდი, ბიჭო, ნუ ლოთიფოთობ!

ტიგრან. ლოთი-ფოთი რად ვიქნები, როცა მარტო ფოთი ვარ, თუმცა პირი ხისკენ მიქნია, ხანდახან ლოთი-ბათუმიცა ვარ. აბა მოდი ვითამაშოთ. (მიუჯდებიან მაგიდას და თამაშობენ).

ადამ. (ციდაგს თითით დაუშუქრება ჭერში.)

მაქსი. (სკამზე ჩამოჯდება).

ადამ. (წამოდგება სწრაფად. დადის ცალი ხელით წვერს ისრესავს, ცალი კი შარვლის ჯიბეში მოუქცევია).

ანდრონიკა (შეკრთება. გაზეთს სწრაფად დაკეცავს, ამოიღებს ფეხქვეშ და ერთი წამით გაშეშდება. უეცრივ აიღებს გაზეთს და იმავე ადგილას შეუდგება თავისთვის კითხვას).

მეთვალყ. (წამოდგება და პაპიროსებს ურიგებს: ტიგრანს, ყაფლანს, მაქსს. რიცა ადამს მიაწოდებს) ღღეს ვგონებ ეცხელება.

ადამ (არც კი შეხედავს. სწრაფად მოუხვდება და განაგრძობს სიარულს).

მეთვალყ (ანდრონიკას) ბ-ნო ანდრონიკა, ინებეთ პაპიროსი!

ანდრონიკა. (მოჰხედავს ზიზღით) ჩუმად იყავით ღვთის გულისათვის! შინაობაა. (განაგრძობს კითხვას)

მეთვალყ ინებეთ პაპიროსი!

ანდრონიკა. მე რა გიყოთ, როცა ის რეჟავენი კვიცივით დედის წინ მიხტის.

ტიგრან (მიაბრუნებს განზე პირს და ჩაიხარხარებს. უეცრივ მოიღრუბლება და განაგრძობს თამაშს).

ანდრონიკა. (გამოვა შუა სცენაზე და მიწას ემთხვევა. წამოდგება და მედგება უეცრივ მივიდა ირმასთან. ჯერ პირ-ჯვარს გამოსახავს, მერე შუბლში აკოცებს) თუ არა გჯერა, აი წაიკითხე! (გადააფარებს თავზე გაზეთს და თითით დააჩვენებს).

ბრმა (დრიალებს) მარიამა! მარიამა! მარიამა!

ანდრონიკა (ხარხარებს). ბრავო! ბრავო! ბრავო! (აგდებს გაზეთს და აიღებს მოაჯირზე ჩამოჯდება. მერე მივა მეთვალყურესთან და მუნჯურად პაპიროსს სთხოვს, ისიც აუმათოვებს. ანდრონიკაც განმარტოვებით დადის და ეწევა.)

ადამ. (უეცრივ) ახ! (ორივე ხელის ცერებით ყურებს დაიცობს, ხელებს კი თვალებზე მიიფარებს. მახლობელ სკამზე ჩამოჯდება. კანკალებს. ანდრონიკა ადამს შეეკამათება მუნჯურად სიგრძეში ქალიდაგის სიმღერა ის. მის მოგნიდან ფოლტები. ადამია ჩამოუშვებს ხელებს, მიეყრდნობა სკამის ზურგს და მოწყენილი სივრცეს გაჰყურებს. პაუზა. სიმღერა შესწყდება)

მაქსი. (უეცრივ გამოდის შუა გულ სცენაზე. ორ ნაბიჯს განზე გადასდგამს დიდი ამბით სივრცეს გასჩერებს). აქეთ! აქეთ! (მეთვალყურეს) ოჰ რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვარ. აბა შემომხედეთ, რა ლამაზი ვარ. (თითონ კი ძალზე მახინჯია). ქალები დნებიან ჩვენთვის და ამიტომაცაა, რომ რაც ქვეყანაზე ლამაზია, ერთად შეყრილან და ყველანი ჩემკენ ბორბიან. (სივრცეში). აქეთ, აქეთ, ჩემო მერცხლებო! შავგვრემანებო—მარცხნივ მე-4 №-ში!—ქერა თმიანო—მარჯვნივ მე-9 № ში. ჩემი ოქრო-ვერცხლით მოჭედილი ჰარამხანები ყველას დაგიტევთ, ჩემო ცოლებო! შენ კი, ტურფათა მეფევ, ჩემ სარეცელს მიაშურე. ჩემთან იქნები განუყრელად, ეშხიანო, ტან წერწეტა, ყურანივით შავ-თვალ წარბა, ირემივით კვირცხლო ფრთხალო! მე ვარ შენი ქმარი, მონა და ბატონი. შენ ხარ ჩემი პური, წყალი, ჰაერი, სული, გული, ცა და დედა მიწა, ღმერთო სულიკო. რა მადლობელი ვარ, რომ ასეთი ლამაზი გამაჩინე. (ზეზვნის უხე კოცნის) გაიხარეთ! ნუ სტირით, თქვე საწყლებო, ნუ სტირით. ყველას გაკოცებთ, ყველას შევიყვარებთ, ყველას გაგაბედნიერებთ. დიაცნო! მამაკაცი თქვენთვის იბადება. ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლაა თქვენთვის. სტყუიან, სულს რომ აძლევენ უპირატესობას მაშინ, როცა სული ფიქციაა, არის მხოლოდ ხორცი და ეს ხორციც დედა-კაცია. დედა-კაცი ყველაფერია და ყველაფერიც დედა-კაცისთვისაა. (გაჩერდება და სივრცეს მიაშტერდება. ანდრონიკა ჩამოჯდება ბრმის გვერდით მხოლოდ ზურგ შექცევით).

ტიგრან. (გაბუტული. უეცრივ გაიღიმებს, სახეს რეზინისავით ათამაშებს წუთის-წუთს მოიღრუბლება და გაიღრიჯება. დადის. ერთს ჩაიხარხარებს. უეცრივ გაიბუტება და განზე გადახტება). ვა, რომ მკოცნი, ძმაო, მე ხომ შენი გუდა-ნაბადი არა ვარ? მართლა, ეგ ოხერი კოცნა რა თაფლივით ტკბილია ხოლმე. მოდი, თუ ძმა ხარ, ერთი კიდევ მაკოცე! აი თუნდ ცხვირზე, გინდ ნიკაპზე, გინდ ყურის ბიბილოზე, მუხლის თავებზე, ფეხის ფრჩხილებზე, გინდ იდლიაში, გინდ ყანყრატოში, გინდ ასე, გინდ ისე, გინდ ასე, გინდ ისე! (უეცრივ დაჰკრავს მიწას მარჯვენა ფეხს და გაშეშდება.)

ადამ. ჩემი გოგონა სასაფლაოს მივათხოვე. დედამ ძუძუ არ აწოვა, არშიყობას დამიშლისო. ფურის რძემ აწყინა და მოკვდა, რის გამო ექიმმა ორივეს მიგვაფურთხა და ეგოისტები გვიწოდა. რარიგ მიყვარდა, მისი ჭირიმე! (ისევ დაფიქრდება).

ანდრონიკა (წამოდგება და ტიგრანს). დედა შენი მოსულა.

ტიგრან. (შეინძრევა და ცნობის მოყვარეობით მას). შენ უნდა შეირთო? (მაქსი დაჯდება განმარტოებით. ანდრონიკა გარინდული დგას. ტიგრან დაფიქრდება.)

ანდრონიკა (უეცრივ დაიყვირებს გაბრაზებული.) იუდა! იუდა! იუდა!

ტიგრან საბრალო დედაჩემი! მახსოვს, სადღაც მივდიოდი. ძლიერ კარგ გუნებაზე ვიყავი, ის კი ტირილით შეუდგა მოთქმას: „შვილო, ჩემო გამხარებელო! შვილო, ჩემო შემნახველო! შვილო დამტირებელო! და ვინ იცის, კიდევ რეები არ მიაყოლა: „უშენოთ ხომ გაცივდა კერა, ხომ დაიქცა ოჯახი, შენ შვილს ვიღა უპატრონებს, ვიღა გაზრდის სკოლაშიო“. დედა-ჩემო, რა გატირებს, მალე დავბრუნდები მეთქი. „ოი მოგიკვდა დედა, საცა შენ მიდიხარ, იქიდან აღარ ბრუნდებიანო“. მართლა, კაცო, რათა ხანია ისინი აღარ მინახავს. ნუ თუ ჯერ მართლა არ დავბრუნებულვარ! ოჰ რა ძლიერ მენატრება ჩემი ოჯახი. (შეშინებული) ვაიმე, შვილო! თქვენი ჭირიმეთ! გამიშვით აქედან, გამიშვით! (შედგება ერთის წამით, უეცრივ ჩამოჯდება სკამზე და დაფიქრდება).

ადამ. სთხოვეთ ტიტიკოს, ნუ ამბობს ხოლმე უმსგავს სიტყვებს. როგორ ეკადრება განათლებულ კაცს ასეთი სამარ-

ყანაში სკოლა იქაურ პოლიტიკურ რეჟიმს ემსახურება და რუსეთშიაც იგივე უნდა მოხდესო.

ჩვენ ვწერდით, და კიდევ ხშირად დავწერთ, რომ სკოლა პოლიტიკას **არ უნდა ემორჩილებოდეს**. „ცისკარი“ კი დაგვცინის, დახედეთ რა „ღრმა“ აზრს ამბობენ—შკოლა პოლიტიკას **არ ემორჩილებაო.** ნეტარები თქვენ, რომ ასე თამამად შეგიძლიანთ დაამახინჯოთ ჩვენი აზრები და ამასთან არა შეგნებულად, არამედ შეუგნებლად. დიახ, შეუგნებლად, რადგან მთელი წყობილება თქვენის აზროვნებისა ისეთია, რომ თუ ძალით არ დაგანახვეთ ეს გადამახინჯება, უამისოდ ვერც კი ამცნევთ მას, უამისოდ **არ უნდა ემორჩილებოდეს** და **არ ემორჩილება** თქვენთვის ერთი და იგივე ხილია.

...ეს წერილი მოულოდნელად გაგრძელდა. ამიტომ არაფერს ვიტყვით იმაზედ, რომ „ცისკარი“ სკოლისა და ყაზარმის შუა ანალოგიას ატარებს, არც არაფერს იმაზედ ვიტყვით, რომ „ცისკარი“ შეუწყნარებელ ცოდვად გვითვლის, რატომ გადააკეთეთ ჩვენი „უპირატესობა უნდა მიეცეს“ პოლიტიკურ ეკონომიის ლექციებს ასტრონომიის ლექციების წინაშე, რად გადააკეთეთ ეს ჩვენი სიტყვა ისე, ვითომც ჩვენ გვეთქვას: „არ გაბედოთო“. არაფერს ვამბობთ ამ წვრილმან და უმნიშვნელო საპოლემიკო ქამანდებზე, მაგრამ არ შეგვიძლიან არ გავაცნოთ მკითხველებს, რა ოინბაზურად ახასიათებენ „ცისკრის“ პუბლიცისტები ჩვენს შეხედულებას კულტურულ მუშაობაზე. აი „ცისკრის“ სიტყვები: „ერთი სიტყვით, ფედერალისტები საქვეყნოდ აცხადებენ: კულტურული მუშაობა ნუ იქნება გამოყენებული დღეს ერთ-ერთ საშუალებად სახელმწიფოს პოლიტიკურ განახლებისათვისო. აი, პროგრამა მათი კულტურული მუშაობისა, აი მათი პოლიტიკა. ჩვენი ვალია ამ რეაქციონურ ჩმახვას ენერგიულად შევებრძოლოთ და ამ ფედერალისტურ პოლიტიკას ჩვენი, მთელი დემოკრატიის პოლიტიკა დავუპირდაპიროთ“.

აგიტატორებს და დემაგოგებს, აზროვნების სიღარიბით შეპყრობილთ და პარტიულ განდიდების სურვილით დაბრმავებულთ, სხვა რა მოეთხოვებათ? იფიქრეთ, მკითხველო, და გაითვალისწინეთ, რა საზიზღარი ქარტეხილი დატყდა ჩვენს გარშემო.

ახალი ამბავი

✦ **ჩამოხრჩობა.** ქუთაისში სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ლებანიძეს, ქობალიავას და თაყვარელიას. განაჩენი დასამტკიცებლად წარედგინა ადგილობრივ გენ.-გუბერნატორს.

✦ **რკინის გზის მოხელეთა საქმე.** პალატამ 21 იანვარს დაასრულა მოწმეთა გამოკითხვა ამიერ კავკასიის რკინის გზის 30 მოხელის საქმის გამო. პალატამ გამოჰკითხა 180 მოწმეს, ექსპერტებს, წაიკითხა არ გამოცხადებულ მოწმეთა ჩვენება. გუშინ, 22 იანვარს, რამდენსამე საათს ილაპარაკა ბრალმდებელმა, მან 19 მოხელის შესახებ ბრალდება დასაბუთებლად ვერა სცნო და მათ დასჯაზე უარი განაცხადა. ბრალმდებელმა 11 კაცი დამნაშავედ სცნო მე 126 მუხლის ძალით, რომლითაც უმაღლესი სასჯელი გადასახლებაა, და უარ-ჰყო 102 მუხლის ძალით გასამართლება. ამ უკანასკნელ მუხლით ძალით დამნაშავენი კატორღაში იგზავნებიან. განაჩენს ამ საქმის გამო უთუოდ დღეს, 23 იანვარს, გამოაცხადებენ.

✦ **თავდასხმა პერუშკინზე.** როგორც გუშინ გვქონდა მოხსენებული, შუა ბაზარში ნიკიფორე პერუშკინს და მის ამხანაგს მოკვლა დაუპირეს. დაჭრილი პერუშკინი იმ დღესვე პოლიციის განკარგულებით გადაიყვანეს სამხედრო საავადმყოფოში. მეორე მოკლული აღმოჩნდა კონსტანტინე დეშუეთი, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში მომუშავე. პოლიციის გამოძიებით, თავდამსხმელნი მაუზერებით ყოფილან შეიარაღებულნი. ოქრომჭედლების ქუჩის შესახვევთან დაჭრილები არიან—გიორგი ალექსანდრიანცი, სარქის მელიქ-გულნაზარიანცი, კონსტანტინე ედილაშვილი, ისააკ ეივაზოვი. პოლიციას ეჭვი აქვს, რომ უკანასკნელი ერთი თავდამსხმელთაგანი უნდა იყოს. გარდა ამისა ეჭვი მიიტანეს და დააპატიმრეს კიდევ 11 კაცი. ჩხრეკა გრძელდება.

✦ **ქალაქის საბჭო.** 21 იანვარს ტფ. ქალაქის საბჭოს უნდა განეხილა პროექტი ნორმალურ დასვენების შესახებ სავალდებულო დადგენილებათა. გუბერნატორის მოწერილობის თანახმად გრეშენი არ შეუშვეს, ამიტომ ხელოსნები და მუშები არ გამოცხადდნენ. ქალაქის თავმა აცნობა საბჭოს, გუბერნატორმა ნება დართო გარეშეებს დაესწრნენ ამ საკითხის განხილვას, თუ მშვიდობიანად იქნებიანო, ამიტომ პროექტის განხილვა გადავდოთო. საბჭომ მიიღო ეს წინადადება და ამ საღამოს რამდენიმე წვრილმანი საქმე განიხილა.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** დღეს, საღამოს 6 საათზე, ი. აბულაძე წაიკითხავს მორიგ ლექციას შემდეგ თემებზე: სიტყვათა წარმოება. ზედსრულთა სუფიქსების თავდაპირველი მნიშვნელობა. ნასესხები სიტყვები.

✦ **გვთხოვენ დავბეჭდოთ:** „ისპბის სექცია სახალხო უნივერსიტეტისა დიდ მადლობას უხდის დაია კონსტანტინეს ასულს კოდიაშვილს 10 წიგნის შემოწირვისათვის ისპბის სკოლის სასარგებლოდ“.

✦ 21 იანვარს შუადღისას გოლოვინის პროსპექტზე დაიპატიმრეს ვიატკის გუბერნიიდან გამოქცეული გორის მაზრის მცხოვრები პეტრე თვალჭრელიძე, რომელიც ბუგუმვადის მაგივრის გამო იყო გადასახლებული.

✦ **ხმოსანმა** მ. ი. ჩუბკომა **ხმოსნის** თანამდებობაზე უარი განაცხადა.

✦ **ტფ. საბჭოს** იურიდიულ კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა ხმ. ვექილი ვ. მ. დოდუხანოვი.

პრესსა

—:—

„ცისკარში“ დაბეჭდილია „წერილი კანადიდან“, რომელიც, როგორც თვით წერილიდანა სჩანს, მუშას უნდა ეკუთვნოდეს. ავტორი მოგვითხრობს, თუ როგორ მივიდა კანადაში, როგორ დადგა პირველად სამუშაოდ და, სხვათა შორის, იწერება:

> თუმცა მალე დავუმტკიცე ქარხნის მთავრობას ჩემი ცოდნა, მაგრამ უკაცრავათ, ჯერ ინგლისური ისწავლე და მერე მოგცემთ კარგ საქმესო; ჩვენ ვხედავთ, რომ შენ განირჩევი მათგან, ვის გვერდითაც მუშაობ, მარა (იუმატსპიკ ინგლიშო) ილაპარაკე ინგლისურადაო, ასევე მითხრეს იაპონიის ერთ ქალაქში იოკოჰამაში: ვერც რუსს, ვერც ვერავის საზღვარ-გარეთელს საქმეს ვერ მივცემთ, რადგანაც ადგილობრივი მუშები, ე. ი. იაპონელი მუშები ბოიკოტს გამოგვიცხადებენო. ეს მე კაპიტალისტების ინტრიგა მეგონა, მარა ბოლოს თვითონ მუშები დამემოწმნენ.

როდესაც ამერიკასა და იაპონიაში ჩვენებურ მუშას ასეთი წესები დაუნახავს, გონების თვალით რუსეთში გადმოუხედია და უფიქრია: „დალახვროს ღმერთმა, აქ რომ ასეთი ამბებია, რუსეთში კი რატომ არ არის ასეო. მუშა თითქმის საყვედურის კილოთი სწერს:

> შესანიშნავია ის, რომ რუსეთში ამერიკელი დათვი რომ მოვიდეს, იმასაც კი თავზე დაისვამენ,—ცოტა იყო განა იმისთანა შემთხვევა, რომ ნემეცი ბესარაბიის გუბერნიაში დათვს ატარებდა ქუჩაში და იგივე კაცი ბოლოს მემანქანის ან სხვა კაი ადგილზე დაეყენებიოთ? აქ ასე არ არის, თუ გაინგლისელდი, მაშინ გასწორდები მათთან მატერიალურად.

რად გიკვირს, ძმობილო? საქართველოში მთელი ქვეყნის დათვები დივსვით კისერზე, და რუსს რომ ამერიკელი დათვი დაეჯდეს, რა გასაკვირველია?..

* *

შავ-რაზმელი გაზეთი „რუს. ზნ.“ ტირის, ჩვენ რევოლიუციონერებსავით გვეკიდებიან, ჩვენ გვდევნიან, როგორც მშვიდობიანობის დამრღვევლებს. მაშინ, როდესაც რევოლიუცია ჩვენ ჩავაქრეთო.

> ამ გამარჯვებას ჩვენ ვითვისებთ,—სწერს შავ-რაზმული გაზეთი,—რადგანაც რუსეთის საზოგადოებაში ჩვენ შევქმენით ის წრე, რომელმაც მმართველობას რევოლიუციასთან საბრძოლველი საშუალება მისცა. ეხლა კი გვეუბნებიან—წადი, დაიკარგე, შენ ჩვენთვის საჭირო აღარა ხარო. არა, ჩვენ არს დ წავალთ, მაგრამ ის კი შეიძლება მოხდეს, რომ ორ მოწინააღმდეგესთან ბრძოლამ დაგვღალოს და იძულებულნი გავხდეთ ჩვენი დროშები ძირს დაუშვათ, სამგლოვიარო ძაძით შევმოსოთ ისინი; მაშინ ნახავთ, რასაც იზამენ ოქტომბრისტები.

ძალიან ძნელი საქმე მოუვა მაშინ რუსეთს! რუსეთის ისტორიის ღირსი შავრაზმელებზე ტრიალებს და, აბა, რა წარმოსადგენია, რომ მათ თავიანთი მოღვაწეობა ასე სამარცხვინოთ გაათაონ.

* *

სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოვებაზე მთავრობამ უარი სთქვა, მე ეს შეუძლებლად მიმაჩნია და ამიტომ არც ნებას მოგცემთო. ამ უარს რეაქციონური გაზეთებიც კი ცუდს გუნებაზე დაუყენებია.

> თუ სათათბიროს საბიუჯეტო უფლებათა გაფართოვება იმიტომ უნდათ,—სწერს „სვეტი“,—რომ ხელმწიფის წინ მოვალეობა უფრო კარგად შეასრულონ, მაშინ ასეთი გაფართოვება ბუნებრივიც არის და კანონიერიც.

პროვინციის ცხოვრება

ზესტაფონი. ს. [illegible] დღევანდელ გლეხებს ერთი ადგილობრივ მემამულის ხელმძღვანელობით განუზრახავთ თავიანთვის საჭირო შაბიამანი შეიძინონ არა ადგილობრივ ვაჭრებთაგან, არამედ ტფილისში ან ბათუმში. შაბიამანის სასყიდელი ფული უკვე იკრიბება და პატარა ხანს უკან კიდევაც შეუკვეთავენ.

ზესტაფონში იოსებ გუნცაძის მეთაურობით არსდება საკრედიტო ამხანაგობა, რომლისთვისაც სახელმწიფო ბანკს ფულით დახმარება აღუთქვამს. ამხანაგობის დახმარებით შეუძლიანთ ისარგებლონ სოფლის მცხოვრებლებმა გლეხებმა და მემამულეებმა. სამი ოთხი წლის წინად დაარსებული ეკერიის სამეურნეო საურთი-ერთო საზოგადოება ზესტაფონის დაწვის შემდეგ ძლივს ძლიობით დინდილობდა, ხოლო შარშანდელს აქეთ, როდა კრებამ მოხელეებს და გამგეობის თავმჯდომარეს კაი ძალი ჯამაგირი დაუნიშნა, ხომ სულ წელი მოსწყდა როგორც ამბობენ, შარშანდელი ზარალი 4000 მანეთამდე იქნება თურმე.

სიმინდის სიძვირე სოფლად ყველასათვის ცნობილია: ხშირად ხახვით სოფლელს, რომელიც ზესტაფონს მოუშურება, რომ სიმინდი იყიდოს. ჯერ სიმინდის მოტეხის შემდეგ 4 თვეს არც-კი გაუვლია და ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა მოხდება პატარა ხანს უკან. გლეხთუხლებს უკვე მიუმართავთ ადმინისტრაციისათვის, სესხები თანხა გვასესხეთ სიმინდის შესაძენადო. ადმინისტრაციამ კიდევაც აძრა შესაფერი შუამდგომლობა. გლეხთუხლებს აზრად აქვთ თურმე მიღებულის ფულით სიმინდი შეიძინონ და მისთვის, რომ სიმინდის მოტანძვირად არ დაუჯდეთ, შუამდგომლობის აძვრას აპირებენ ტარიფის დაკლების შესახებ.

—

ბანძა (სამეგრელო). დღეს უკიდურეს მდგომარეობას განიცდიან ს. ბანძის მცხოვრებნი მათი აუტანელის მდგომარეობისაგან. წარმოიდგინეთ, ჯერ სამ თვეს არ გაუვლია რაც მოსავალი შეინახეს და ბევრს უკვე შემოაკლდა სიმინდი. ასეთ აუტანელ დროს ათასნაირი გადასახადი სულს უხუთავს გლეხობას. ამას ზედ დაატყდა იმ ვაჭარ-ტონების გერაგობა, რომლებიც მოძრაობის დროს თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებდნენ და დღეს კი ყოველ ღონეს ხმარობენ ხალხის შესაწუხებლად. ამათ ბევრს ამოუღიათ ცრუ ქვეყნებში თავი.

ვედიდკარელი.

ცხვ ნო საქციელი?

ანდრონიკა. (მივა ერთ ხესთან და მიაკაკუნებს) ცოცხლები ხართ? (გაშეშდება და მიაყურებს)

ადამ. (წამოდგება, მაჩვენებელი თითით ჭაერში ბურთს და ჯვარს გამოსახავს. შეცრივ მეთვალყურეს მიაცქერდება, რომელიც გაზეთს ჰკითხულობს. მივა მასთან ფეხაკრეფით) გამარჯობა!

მეთვალ. გაგიმარჯოთ, ბატონო ადამ!

ადამ. ახლა მოხველით?

მეთვალ. არა, დილას აქეთ აქა ვარ.

ადამ. მიკვირს, რატომ ვერ შეგნიშნეთ.

მეთვალ. ასეა მუდამ. პატარა კაცი უმიკროსკოპოთ უჩინარია. (მაპიროსს მოაკიდებინებს).

ადამ. (გაზეთს შენიშნავს). გაზეთს ჰკითხულობთ?

მეთვალყ. დიახ.

ადამ. რა სწერია შიგ?

მეთვალყ. დიდი ამბები.

ადამ. რას იქმნიან ადამის ძენი? ვერ დასჭამეს ჯერ ერთმანეთი? (დააცქერდება მას). ბ-ნო მეთვალყურე, რად ჩამომდნარხარ ასე ძლიერ, ან რად გაძევთ ეგ მიწის ფერი? შეყვარებული ხომ არა ხართ?

მეთვალყ. გამოგიცანით: მე ცოლს ვირთავ.

ადამ. იქნება მართლა?

მეთვალ. ჭეშმარიტად.

ადამ. ლამაზია?

მეთვალ. ჰო.

ადამ. ძლიერ გიყვართ ერთმანეთი?

მეთვალ. უზომოდ.

ადამ. მაშ ნუ შეირთავ.

მეთვალყ. რატომ?

ადამ რომ არ შეგძულდეს.

ადამ. თავისუფლება და სიყვარული სინონიმებია, ქორწინება კი მონობის ემბლემაა. კმაყოფილი ხართ ბედისა?

მეთვალყ. ერთობ.

ადამ (განზე). საწყალი კაცი! რამდენი საყვარელი ჰყავს?

მეთვალყ. (ოდნავ შეკრთება). არც ერთი.

ადამ. ეგ სულ ერთია, მალე გაიჩენს.

მეთვალყ. მაგრე რად ჰფიქრობთ?

ადამ. მაგრე ჰფიქრობს ბუნება და არა მე.

მეთვალყ. როგორ?..

ადამ. ისე... ქალები ახირებული ხალხია. თუ მახინჯია, არ გიყვარს, თუ ლამაზია, ყოყლოჩიანობს და შენ არ უყვარხარ. ჭკუიანი თუ ხარ, სულელთან გარბის, თუ სულელი,—დაგცინის. როცა საჭიროა, არ გეკარება. როცა გძულს, თუ ტყეში არ გაიქეცი, ვერ მოგიშორებია. (განზე) კარგი მოვდივარ! (მას) სხვა, რა ისმის ქალთა ემანსიპაციაზე? (პასუხს აღარ დაუცდის, წასვლება ნელი სიცილი და ერთ ხესთან გაჩერდება. ყაფლან და ანდრონიკა ახითხითდებიან. ბრმა გაიღიმებს. წუთის შემდეგ ყველანი მიწყნარდებიან)

გამოსვლა 2.

(გამოდის მარცხნივ მხრიდან ივანე და მეთვალყურესთან მივა).

მეთვალყ. რას მეტყვი, ივანე?

ივანე. ახალი ამბავი მინდა გითხრათ.

მეთვალყ. აბა, აბა?

ივანე. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ჩვენ უფროსს მეთვალყურეს ყველაფერში ბედი სწყალობს ხოლმე.

მეთვალყ (წამოდგება). როგორ?

ივანე. ხა-ხა-ხა-ხა! წუხელ შუა-ღამისას, პატარა ბაღში, ჩვენი ლამაზი მეთვალყურე ქალი ჩაიკრა გულში.

მეთვალყ. (შეკრთება). აბ! (თავს შეიმაგრებს).

ივანე. მე შორი-ახლო ვიდექი და ყველაფერი გავიგონე და დავინახე. იმათ თავბრუ-დამხვევმა კოცნამ საწყალი ჩიტუნიებიც კი დააფრთხო. დღეს ვიზიტაციის შემდეგ გორაზე მიდიან სასეირნოთ და თუ თქვენც დამეთანხმებით, სუფთა ჰაერზე ლამაზი ქალის გულში ჩაკვრა ჩინებული რამ არის. (ხითხითებს).

მეთვალყ ოჰ, ნუ იცინი, ჩარჩო, თორემ თავს შუაზე გაგიპობ და მაგ შხამიან ენასაც ძირში მოგაჭრი.

ივანე. რას მერჩი, ბატონო, მადლობის მაგიერია? მართლა, კინაღამ დამავიწყდა. აი, ინებე ქალის მინაწერი წერილი მასთან. ბაღში და ჩენოდათ და დღეს დილით ვიპოვე. თქვენ ერთ ადგილას გიჟად გიხსენიებთ. მიკვირს, რას გერჩით. (მიდის პალატებში, მეთვალყურე ბარათს ჰკითხულობს. ამავე დროს ხელფეხი უკანკალებს. შეინახავს წერილს და გაქვავდება ერთ ადგილას. ადამ გადაიხარხარებს).

მეთვალყ (გამოერკვევა და მივა მასთან) ადამ! (არ ესმის) ადამ! (არ ესმის) ადამ!

ადამ. (მოუბრუნდება). რა გნებავთ?

მეთვალყ. დავიღუპე.

ადამ. რა მოხდა?

მეთვალყ. მომიტყდა უკანასკნელი ყლორტი.

ადამ. მაგალითად?

მეთვალყ. სატრფო დავკარგე.

ადამ. როგორ, მოკვდა?

მეთვალყ. მიღალატა.

ადამ. მერე მე რა?

მეთვალყ. მირჩიეთ რამ.

ადამ. თავი ჩამოიხრჩე!

მეთვალყ. ისა?

ადამ. ის იცოცხლოს

მეთვალყ იმასაც მოვკლავ, რომ სხვას არ დარჩეს.

ადამ. ეგ შეუძლებელია.

მეთვალყ. რატომ?

ადამ. მიტომ, რომ ის პიროვნებაა და არა შენი კერძო საკუთრება. მოვა დრო და ისიც თავს მოიკლავს.

მეთვალყ. მაშ მარტო მე?

ადამ. დიახ, მარტო თქვენ და რაც უფრო ადრე შესწყვეტ ამ უაზრო ყიალს, მით უკეთესია. ნუგეშის იმედი ნუ გაქვს. ადამიანი ქვენა-გრძნობათაგან შეთითხნილი მოჩვენებაა და მისი ცხოვრებაც დაუსრულებელი ბოდვაა. არ ყოფნიდან ყოფნა, ყოფნიდან ისევ არ ყოფნა. სიყვარული, ბედნიერება და თავისუფლება მოპორებული ამბავია, რომელიც ცოტახნობით სასაფლაოს ეფარება წინ. ამას გარეშე არაა არისჭრა და, თუ ჭკუა გაქვს, თავს უშველე. შეგიძლიან ეს უბრალო წამლი სხვებსაც გაუზიარო. თანახმა ხარ?

მეთვალყ. დიახ.

ადამ. მაშ ხვალ ცოცხალს ვერ განახავ?

მეთვალყ. ვერა.

ადამ. მშვიდობით! (ეკვეცებს შუბლში) ასე სჯობიან. თუ მოახერხო, თოკის პატარა ნაგლეჯი მეც მომინარჩუნე, ბარემ ერთად წავიდეთ. (მოშორდება უცრივ, თითქოს რადაც მოაგონდაო) მესმის, მესმის. დიდათ პატიოსანი ოჯახია, იქ ყოფნა უსათუოდ გააკეთილშობილებს (ამ დროს, შენობიდან მოისმის ნაზი მუსიკა. ეს ხმები სცენაზე მოდამპრაკეთ არ უნდა ჩრდილავდეს. მუსიკის გაგონებაზე შეკრთებიან: ადამი, მეთვალყურე და ანდრონიკა ადამი ხმოჯდება.)

ანდრონიკა. (მივა მეთვალყურესთან შეშინებული) ბატონო დრეიფუსო! გაეცალეთ აქაურობას! მოდიან, მაღლა მთიდან მოდიან. სოფელი იწვის, მკვდრებიც ამდგარან საფლავებიდან და მუქარით ხელებს იქნევენ. სთხოვეთ იმ წყეულს, პირი იქით მიიბრუნოს, ნუ მიცქერის, მეშინიან. (დააცქერდება სივრცეში რაღაცს) ნეტავი ჩვენი ძაღლები რად წკმუტუნებენ ისე საზარლად? ან ვისი თავები ჰკიდია იქ ლობის სარებზე? სად არიან ჩემი ძმები: მამუკა და ონისე? დედა-ჩემს თმები რად გაუწეწნია და მოსთქვამს? ჩემ ბალღებს ქვაბში რად ხარშავენ? გესმით კივილი? (შეწუხებული) ღმერთო ჩემო! ისინი იტანჯებიან და სოფელს კი ჩასძინებია. ჩემო ბედ-შავო ჭუკებო! ნუ თუ არავის ებრალებით? ოჰ, ოჰ! შეაჩერეთ! მე დამეცით მახვილი, მე ამომგლიჯეთ გული! ოღონდ ნუ დამიხოცავთ ჩემს პატარებს, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებთ. (დაიბღავლებს) მოჰკლეს! მოჰკლეს! მოჰკლეს! (მეთვალყურეს ცრემლი წასკდება და იქვე სკამზე დაეშვება. მუსიკა შესწყდება.)

ანდრონიკა. (მოულოდნელად ტაშს შემოჰკრავს) ბრავო! ბრავო! ბრავო! (ხარხარებს გაბრწყინებული) ქორფა კიტრები, ქორფა კიტრები—(ხარხარებს ერთი წამით და მიწყნარდება.)

ტიგრან (წამოხტება). ჰო, იმას ვამბობდი. (უკმაყოფილო კილოთი) რა ვიცი, რას ვამბობდი? მე ხომ ილბუზი არა ვარ, ან და გულაქნური. მართლა გულაქნური რა კარგი თევზია. ერთხელ მამა ჩემმა და დედა ჩემმა არა, ჯერ დედა ჩემმა, მერე კი მამა ჩემმა. ე. ი. მამა ჩემმა დედა ჩემმა, და დედა ჩემმა მამა ჩემმა, გამგზავნეს ბაზარში. „შვილო თუ შეიძლება, ერთი გირვანქა გულაქნური გვიყიდეო“. რატომაც არ შეიძლება, თუ კი ჩემი შვილი ჩემზე ათი წლით უფროსია, გულაქნური რომ გიყიდო რა დიდი საქმეა მეთქი. მეც ავიღე და იმათ ჯიბრზე სამი გირვანქა ვიყიდე. არა ძმაო... ტყუილი რა საკადრისია. სულ არ მიყიდნია. ჰო... ღვთის წინაშე, ყიდვით ვიყიდე, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, არ მიყიდნია, რადგან უკვე ნაყიდი მქონდა. იქიდან დავკარ ფეხი, ცაკანას ჩავუარე და სადილად დავპატიჟე. ცაკანას ნახვამ ჩემი ცოლი ისე გაახარა, ისე, ისე, რომ კინაღამ არ ჩამომახია ჩოხის კალთები. ცაკანამ ჩემ ცოლს ნობათი მიართვა, ჩემმა ცოლმა კი ნაბადი, არა, ბატის კვერცხი. მე თუ მკითხავთ, არც ერთი და არც მეორე, გარდა ერთი ციცქნა ბოლოკის კუდისა. თურმე ნუ იტყვი, კაცო, იმ კუდს კიდევ კუდი ჰქონიყო, მეც ავიღე, მოვაკალიჯე და ჩავახრამუნე. ამაზე, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამიტყდა მამა ჩემი, გამიტყდა დედა ჩემი, დაიმსხვრა ჩემი ცოლი, აჭიდვარა ჩემი შვილი, გაიყინა ცაკანა, გავიტრუსე მე; შემოვძახეთ ზაითი და გავედით ბაღჩაში. დავლიეთ, მაგრამ რა დავლიეთ. ამ ხელს დავკრავდი, ღვინო გადმოდიოდა, ამ ხელიდან—ძმარი, ამ ფეხიდან წყალი, ამიდან (მეორე ფეხს ასწევს) ისპანახი, ჩვენც, მოგეცა ღვთის წყალობა, მივაყოლეთ: ღვინოზე წყალი, წყალზე ძმარი, ძმარზე ისპანახი, ისპანახზე მამა ჩემი, მამა ჩემზე დედა ჩემი, დედა ჩემზე ჩემი შვილი, ჩემ შვილზე ჩემი ცოლი, ჩემ ცოლზე ცაკანა, ცაკანაზე მე. „ფანჯ იაქიო“, დამიყვირა. ფანჯი დუ მეთქი, „ფანჯი სიო“, დუშიში მეთქი. „შაში აქშიო“, შაშუ ჩარი მეთქი. . (უცრივ შედგება და ჰაიბუტდება.)

დრიდ. რაზიშვილი.

(დასასრული იქნება)

სასამართლო

საქმე გურიის აჯანყების შესახებ

21 იანვარს ტფ. სამოსამართლო პალატა შეუდგა გურიის აჯანყების საქმის განხილვას. პასუხის გებაში მიცემულია 13 კაცი. წოდებათა წარმომადგენლებად არიან მიხაილოვის სოფლის მამასახლისის პეტრენკოსი, ტფ. ქალ. გამგეობის წევრი ა. ი. ხატისოვი და ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. ზ. ერისთავი. ბრალსა სდებს პოპოვი. არ ვიცით, რა მიზეზით ვექილები არ მოუწვევიათ. იყო მხოლოდ კ. ჯაფარიძე და ტურკევიჩი, რომელიც იცავს ტულუშსა და თოთიბაძეს. სხდომა დაიწყო აუარებელ ხალხის თანადასწრებით. პალატამ გამოიხმო მოწმენი და აღმოჩნდა, რომ ბრალდებულის მხრით დაბარებულ მოწმეთაგან 30 კაცზე მეტი არ გამოცხადდა. როგორც გამოირკვა, ამ მოწმეებს ქუთაისის გუბერნიიდან საერთო თხოვნა გამოუგზავნიათ ნამესტნიკის სახელზე, პალატაში ვერ გამოვცხადდებით და ჩვენებას ვერ მივცემთ, რადგან სიკვდილისა გვეშინიაო.

ბრალმდებელმა შესაძლებლად სცნო საქმის განხილვის გაგრძობა. ვექილმა ჯაფარიძემ განაცხადა: არავითარი კანონიერი საფუძველი არა ჰქონდა პალატას საქმის განხილვა გადმოეტანა აქ ტფილისში, მაშინ როდესაც მოწმენი და ბრალდებულნიც ქუთაისის გუბერნიაში იმყოფებიანო. მან საჭიროდ სცნო საქმის გადადება.

ჯაფარიძემ ისიცა სთქვა, რომ დამცველები რკინის გზის მოხელეთა პროცესშიაც იღებენ მონაწილეობას და ვერ მიიცლიანო. ვექილმა ტურკევიჩმა მხარი დაუჭირა ჯაფარიძეს.

კარგა ხანს ილაპარაკა ბრალდებულმა ბენია ჩხიკვიშვილმა. მან გაიმეორა ვექილის აზრი საქმის გადადების საჭიროების შესახებ და სხვათა შორის, სთქვა: მოწმეთა დაბარება აუცილებლად საჭიროა. რამდენადაც ვიცით, მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა ხდებოდა ბოქაულის მაქიაშვილის თანადასწრებით და სამართლიანობა მოითხოვს ამ ბოქაულის გავლენით ნაჩვენები პალატამ არ გამოიყენოს ჩვენ განსამართლებელ მასალად. თუ მოწმეებს არ გამოჰკითხავთ, არ ვიცი რაზე უნდა დაამყაროთ განაჩენი? ამიტომ ჩვენ ვითხოვთ საქმე გადაიდოს. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ხალხში ხმა დადის, პალატამ წინდაწინვე დაამზადა ჩვენ შესახებ განაჩენი, ამიტომ შეუძლებელია სცნობენ საქმის გაჭიანურებასაო.

პალატა სათათბიროდ წავიდა. ცოტა ხანს შემდეგ პალატამ გამოაცხადა, რომ საქმის განხილვა უნდა განვაგრძოთო. ჩხიკვიშვილმა მოითხოვა მოლაპარაკების ნება მისცემოდათ ბრალდებულთ—თავმჯდომარემ უარი უთხრა. ამის შემდეგ ბრალდებულებმა განაცხადეს, ჩვენ ვერ დავესწრებით საქმის განხილვასო და გთხოვთ ისევ საპატიმროში გაგვგზავნოთო. ამას ტურკევიჩის გარდა სხვებმა მხარი დაუჭირეს. ბრალდებულნი მეტეხის ციხეში გაისტუმრეს. პალატამ საქმის განხილვა განაგრძო. წაიკითხეს საბრალმდებლო ოქმი, რომლის შინაარსსაც გავაცნობთ მკითხველებს.

(შემდეგი იქნება)

ხმა მოსკოვის უნივერსიტეტიდან

ვინც წრევანდელ სამოსწავლო წლის დასაწყისში თვალ-ყურს ადევნებდა საუნივერსიტეტო ქალაქებიდან მოსულ ცნობებს, უსათუოდ ყურადღებას მიაქცევდა იმ გარემოებას, რომ წელს რუსეთის უნივერსიტეტებს მრავალი სტუდენტობა მოაწყდა. უმაღლეს განათლების მოსურნეთა რიცხვი იმდენა აღმოჩნდა, რომ ყველას მიღება შეუძლებელი გახდა, ადგილობის გამო. იმათგან, ვინც მიიღეს, ნახევარზე მეტი იმისთანა ფაკულტეტებზე მოჰყვა, რომლებთანაც მათ მისწრაფებას არაფერი საერთო არა ჰქონდა-რა. ბევრი ხრულებით არ მიიღეს უნივერსიტეტში, მაგრამ უფრო ბევრი ჩამოშორდა საყვარელ საგანს.

ცხადია, ამ «ძალად-ექიმთა», «ძალადიურისტთა» და სხვა ძალა-უნებურების მსხვერპლთა გულში მუდამ ერთი აზრი ტრიალებს, რომლის განხორციელებასაც ყოველ დღე ხედილობენ: ეს აზრი გახლავთ აზრი არა-საყვარელ საგნის დატოვებისა და საყვარელ საგნისკენ მისწრაფებისა, რაც მარტოდ მარტო მიიღწევა ფაკულტეტის ჯამოცვლით. აი, სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა მოვლენა, რომელიც სამარცხვინოდ დარჩება რუსეთის სტუდენტობის ისტორიაში—მე ვამბობ ფაკულტეტის გაყიდვაზე.

მართლაც-და, წარმოიდგინეთ, რა საზიზღარია ეს მოვლენა! სტუდენტი, ინტელიგენტი კაცი, სარგებლობს იმ გარემოებით, რომ მას ბედმა «ძვირფასი» ფაკულტეტი არგუნა და ფულად ჰყიდის ამ ფაკულტეტს თავისსავე ამხანაგზე, რომლისთვისაც ბედი ნაკლებ კეთილი გამოდგა. ეს ხომ ექსპლოატაციაა! კაცი თავისს ამხანაგზე ჰყიდის სწავლის მიღების უფლებას. ამისთანა მოვლენა ყოვლად უპატიოსნო და დიადაც დასაგმობია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს სტუდენტობაში ამისთანა საქციელი ჯერ ჯეროვნით მაინც ზიზღს არ იწვევს: რასაკვირველია, აქა-იქ ისმის მისი დამგმობი ხმა, მაგრამ ეს ხმა ჯერ მთელ სტუდენტობას არ მოსდებია, მის სისხლსა და ხორცში არ შესულა!

—

თუ რა საზიზღრობამდე შეიძლება მივიდეს «მეცნიერებით ვაჭრობა», ამას მკითხველი ცხადად დაინახავს იმ ფაქტის აღწერიდან, რომელიც ამ მოკლე ხანში მოხდა მოსკოვის უნივერსიტეტში და რომელშიაც, სამწუხაროდ, მთავარი ადგილი უჭირავს ქართველ სტუდენტს. საქმე ასე გახლდათ: საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა სტუდ. ხ—შვილი, რომელსაც ძალზე სწყუროდა საექიმო ფაკულტეტზე გადასვლა. ბევრის ცდის შემდეგ მან როგორღაც გაიგო, რომ საექიმო ფაკულტეტის სტუდენტს, ვლ. სეპპა თანახმაა გაუცვალოს ფაკულტეტი, თუ-კი 500 (ხუთასს) მანეთს „სარისს" მისცემენ.

ერთ მშვენიერ დღეს სეპპისთან მივიდა ერთი კაცი და გამოუცხადა: „მე ვარ ვარდენ ბერიძე, თავ. ხ—შვილის მოურავი. თავადი ჯერ მოსკოვში არ ჩამოსულა, მაგრამ ძალიანა სურს საექიმო ფაკულტეტზე გადასვლა და რაკი გავიგე, რომ თქვენ თანახმა ბრძანდებით ეს ფაკულტეტი დაუთმოთ იმას, ვინც 500 მანეთს მოგცემთ, მეც თქვენ მოგმართეთ. მე თანახმა ვარ ხ—შვილის მაგიერ 500 მანეთი მოგცეთ, თუ-კი მართლა დაუთმოთ თქვენს ადგილს საექიმო ფაკულტეტზე, ოღონდ ერთის პირობით: ნაღდი ფული ახლა არ მაქვს და, თუ შეიძლებოდეს, თამასუქს დამჯერდითო".

არ ვიცი, ფულის სიხარბემ დააბრმავა სეპპი თუ სხვა რამემ, მაგრამ ამ პირობაზე დასთანხმდა. მაშინვე შესაფერი თხოვნა შეიტანა უნივერსიტეტში, ხ—შვილის მაგიერად ვიღაცამ შეიტანა თხოვნა და საქმე გაიჩარხა, ესე იგი ხ—შვილი საექიმო ფაკულტეტის სტუდენტად გადაიქცა, სეპპის-კი ხელში შერჩა თავ. ხ—შვილის მოურავის, აზნაურ ვარდენ ბერიძის"—მიერ ხელ-მოწერილი 500 მანეთის თამასუქი...

გავიდა რამდენიმე ხანი და როცა თამასუქს ვადა შეუსრულდა, ბ. სეპპიმ „საადრესო სტოლში" გაიგო ხ—შვილის ადრესი და სახლში ეწვია. იქ ორი სტუდენტი დახვედრია. სეპპი პირადად არ იცნობდა ხ—შვილს. მას დაუწყია ფულის თხოვნა, მაგრამ უარი მიუღია. აქ კი მიმხვდარა სეპპი, რომ მოტყუებულია და სამაგიეროს გადახდა მოუწადნია. მას ეთქვა: „თქვენ მე მომატყუეთ, მაგრამ არც მე დაგაყრით კეთილსაო: წავალ და საპროფესორო სასამართლოში ვიჩივლებ. ვიცი, უნივერსიტეტიდან გამომაგდებენ ადგილის გაყიდვისათვის, მაგრამ თქვენც ჩემზე უკეთესი დღე არ დაგადგებათო".

და მართლაც იჩივლა პროფესორების სასამართლოში. როგორც ხმა დადიოდა, პრინციპიალურად, პროფესორებს წინდაწინვე გადაწყვეტილი ჰქონიათ ორივეს გაგდება უნივერსიტეტიდან, მაგრამ ხ—შვილს იმ გარემოებამ უშველა, რომ სეპპი, როგორც ყველა ზემო-ნათქვამიდანა სჩანს, მას პირადად არ იცნობდა და ამიტომ, როცა ის სამსჯავროში გამოცხადდა, სეპპიმ აღიარა: „ეს ხ—შვილი არ არისო". ხ—შვილმა გამოუცხადა პროფესორებს: «ბერიძეს მე იმდენადვე ვიცნობდი, რამდენადაც სეპპი. ის დამპირდა საექიმო ფაკულტეტზე ადგილის მოვნახავ და ამისთვის თავის გასამრჯელოდ 50 მანეთი მთხოვა. მეც ავიღე და მივეცი. რაც შეეხება იმას, რომ ბერიძეს სეპპი მოუტყუებია, ეს რა ჩემი ბრალია.?! და რომ მე მართლა არაფერი არა ვიცოდი-რა, ეს ხომ იქიდანა სჩანს, რომ სეპპი პირადად ვერც კი მიცნობს: მაგასთან რომ საქმე მჭეროდა, განა იმას იტყოდა, ეს ხ—შვილი არ არისო?!.»

ხ—შვილი გაამართლეს, ვლ. სეპპი კი უნივერსიტეტიდან გამოაგდეს! უკანასკნელმა ეს ვერ აიტანა და თავი მოიკლა! ასე დრამატიულად გათავდა ეს ამბავი, რომლის დასაწყისი კომედიას ან ფარსს მოგვაგონებდათ!

კიდევ ორიოდე სიტყვას ვიტყვი იმ პოზიციაზე, რომელიც დაიჭირეს სტუდენტებმა ამ საქმეში, ისინი ერთხაც ამტყუნებდნენ და მეორესაც: მეცნიერება ფულად გაჰყიდესო. სეპპის რომ საქმე საამხანაგო სამართალში გადაეცა, ორივეს ერთნაირად დასჯიდნენ. მაგრამ რა კი სეპპიმ საპროფესორო სასამართლოს მიმართა, ყველას სიმპატია ხ—შვილის მხარეზე გადავიდა. ყველა ამბობდა: «მართლა, იქნებ ხ—შვილი უფრო დამნაშავეცაა, მაგრამ სეპპის ნება არა ჰქონდა, პროფესორებისთვის მიენდო ამ საქმის გარჩევა და რაკი ამ გზას დაადგა, დეე სამაგალითოდ დაისაჯოს! ჩვენ-კი ხ—შვილს დავიცავთ, რადგან ამითი ჩვენს უფლებას ვიცავთო» ახლა-კი, როცა პროფესორებმა თავიანთი მსჯავრი დასდეს ამ საქმეს, თვით სტუდენტობა აპირებს ამ საქმეში ჩარევას და არა მგონია, მისი მსჯავრი პროფესორების მსჯავრზე ლმობიერი დარჩეს. **გრაკხი.**

რუსეთი

✦ **მემარცხენე გლეხები სათათბიროში.** გლეხებმა—დეპუტატებმა, რომლებიც ოფიციალურად მემარჯვენეებად არიან მიხათვლილები, ცალკე, დამოუკიდებელ ჯგუფის შედგენა გადასწყვიტეს. მათ, ალბათ, იგრძნეს, რომ მემარჯვენენი სათათბიროში გლეხების ინტერესებს სრულიად არ იცავენ. ამ ამბავს შავ-რაზმელებში დიდი აყალ-მაყალი გამოუწვევია. «ჭეშმარიტ რუსთა კავშირის» წარმომადგენლებმა მოლაპარაკება გამართეს გლეხებთან, რომლებიც თავს იმართლებდნენ, რომ ჩვენი ამომრჩევლები საყვედურს გვითვლიან, მიწის შესახებ არაფერს ამბობთო. შავრაზმელებს მაინც აუქლევიათ გლეხები: 1) არ შეადგინონ ცალკე, დამოუკიდებელი, ჯგუფი; 2) არც ერთი მათგანი არ შევიდეს სხვა რომელსამე ორგანიზაციაში ჯგუფის ბიუროს ნება-დაურთველად; 3) «სამ ვეკ»-ისა და „რეჩ"-ის კითხვა არც ერთმა მათგანმა არ მოინდომოს; 4) კორესპონდენციები არავისაგან არ მიიღონ. ასეთი ზომები, რასაკვირველია, ვერაფერს უშველის: გლეხი-დეპუტატები ბოლოს ჭეშმარიტებას მაინც გაიგებენ და შავ-რაზმელების გავლენას თავს დააღწევენ.

ევროპა

ინგლისი. რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ჰულლში უკვე დასრულდა მერვე კონგრესი ინგლისის მუშათა პარტიისა. უკანასკნელ სხდომაზე ლაპარაკი ჰქონიათ, სხვათა შორის, იმაზედაც, თუ მოხუცებულ კეირ-გარდის ნაცვლად ვინ აირჩიონ პრეზიდენტად. ფიქრობენ, რომ პრეზიდენტად დეპუტატს არტურ გენდერსონს აირჩევენ. როგორც უკვე ვწერდით, კონგრესს განსაკუთრებული ყურადღება ორი საკითხისთვის მიუქცევია. ეს საკითხებია: მოხუცებულთა სახელმწიფო დაზღვევა და უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ საკითხების შესაფერ კანონ-პროექტებს ეხლავე შეიტანენ პარლამენტში, რომელმაც ამ დღეებში დაიწყო მუშაობა. რადგანაც მუშათა პარტიის მნიშვნელობა დღითი-დღე იზრდება, კონგრესსის მუშაობას დიდის ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს როგორც ტორები (კონსერვატორები), ისე ვიგები (ლიბერალები). განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ უკანასკნელის დღეებით, როდესაც არკვევდნენ, რანაირი დამოკიდებულება უნდა დაიჭიროს მუშათა პარტიამ სოციალიზმთან. სამშაბათის სხდომაზე დელეგატმა ატკისონმა ამნაირი წინადადება შეიტანა: პარტიის სტატუტები უნდა შეიცვალოს იმნაირად, რომ პარტიის საბოლოვო მიზნად დასახული იყოს კაპიტალისტური სისტემის დარღვევა და შეძლება წარმოების სოციალისტურ წესისა. ეს წინადადება უარყოფილ იქმნა 951,000 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 91,000. მეორე დღეს დელეგატმა სტეფენსონმა კრება გახსნა და რეზოლიუციაში ასეთი შესწორების შეტანა გახიზრახა: „...რომ დადგა მუშათა პარტიისთვის დრო, თავის მიზნად დაისახოს საწარმოვო იარაღების სოციალიზაცია, განაწილება და გაცვლა-გამოცვლა, რაიცა დემოკრატიულ სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ უნდა ხდებოდეს; აგრეთვე შრომა კაპიტალიზმისა და ლენდლორდიზმის ბატონობისაგან უნდა განთავისუფლდეს და სქესთა შორის სოციალური და ეკონომიური თანასწორობა უნდა დამყარდეს." ამ შესწორებას კონგრესზე დიდი აყალმაყალი გამოუწვევია. ბევრს დელეგატს მოუთხოვია, მეორე საქმეებზე გადავიდეთ, რადგანაც ეს საკითხი გუშინ უკვე გადაწყდა, კონგრესმა სოციალისტური პოლიტიკა დიდის ხმის უმეტესობით უარჰყოო. სოციალისტებს პროტესტი განუცხადებიათ, ეხლა ჩვენ პარტიის პროგრამაზე კი არა ვლაპარაკობთ, არამედ პრინციპის უბრალო დეკლარაციაზეო. კამათის შემდეგ თავმჯდომარემ შესწორებას კენჭი უყარა და, როგორც პრინციპის დეკლარაცია, მიიღეს 514,000 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 462,000 ამ რიგად, ინგლისის მუშათა პარტიის უმრავლესობა სოციალიზმის წინააღმდეგი ყოფილა, კენჭის ყრამ ეს ცხადათ გამოაამკარავა. ინგლისის სოციალისტებს, უეჭველია, დიდი შრომა დასჭირდებათ, რომ მუშებში სოციალისტური აზრები გაავრცელონ და დაუმტკიცონ მათ, რომ საბოლოვო ხსნა მუშებისა მხოლოდ არსებულ წესწყობილების სრულს ლიკვიდაციაშია. სოციალ-დემოკრატები ირწმუნებიან ხოლმე, კაპიტალიზმის განვითარება სოციალისტურ აზრების გავრცელებასაც უწყობს ხელსაო. ინგლისის მაგალითი მჭერმეტყველურად ასაბუთებს, რომ შეიძლება ქვეყანა ძალიან კაპიტალისტური იყოს, მაგრამ სოციალისტური შეგნება კი ძალიან ნაკლებათა ჰქონდეთ მუშებს.

დეპეშა

19 იანვარი.

მელბურნი. ახალ კანონის თანახმად, 12-იდან 18 წლამდე ყველა მოკალკე ისწავლოს სამხედრო საქმე, 26 წლამდე ყველამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ეროვნულ ჯარების სამხედროვარჯიშობაში ჰფიქრობენ, რომ რვა წლის შემდეგ შესაძლებელი იქმნება 214 ათას გაწვრთნილ ჯარის კაცის გამოყვანა ომიანობის დროს.

ლონდონი. სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის გამო ატეხილ კამათის დროს რადიკალმა რუტერფორდმა მოითხოვა, რომ ადრესში აღნიშნული იყოს დაუყოვნებლივი საჭიროება საერთო რეფორმებისა ინდოეთისათვის: ინდოეთის მცხოვრებლების ხელში უნდა იყოს კონტროლი შინაურ მართვა-გამგეობისა. ორატორი თხოულობდა პროვინციალურ პარლამენტებისა და თან მთელი ინდოეთისთვის საერთო პარლამენტის დაწესებას. რადიკალმა კოტონმა განაცხადა, რომ ინდოეთის მდგომარეობა და უკმაყოფილება ძალიან საშიში არისო.

ურმია. დღეიდან იწყება წესიერი სხდომები სპარსეთ-ოსმალეთის საზღვრის კომისიისა.

თავრიზი. სასულიერო და წარჩინებულ პირთა კრებების წყალობით პარტიები მორიგდნენ. სპარსეთ-ოსმალეთის საზღვრის კომისიის სხდომები კვირაში ორჯელ მოხდება.

ურმია. მუხრამუს-სალტანეს ოფიციალურ შეკითხვაზე სოუჯ ბულაკის ამბების გამო ტახირ-ფაშამ უპასუხა, რომ ფაზილ ფაშას საქმე ქურთების უწესო ქცევის მოსპობა იყო, რაც კიდეც შეასრულაო; ფერმან-ფერმამ უმიზეზოდ დაანება თავი ქალაქს, რის შემდეგაც მცხოვრებთ ფარგლობა სთხოვეს ფაზილ ფაშას და ფაზილ-ფაშამაც უარი ვერ უთხრაო.

ბერლინი. მთავრობის წრეები უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ ზემო პალატამ კომისიას გადასცა პოლონელების წინააღმდეგ მიმართული კანონ-პროექტი: კომისიაში უმრავლესობა წინააღმდეგია თურმე კანონ პროექტისა.

მადრიდი. მინისტრებმა საგანგებო სხდომა გამართეს, რის შემდეგაც შინაგან მინისტრი მაუსა სევილიაში წავიდა მეფესთან.

რედაქტორი **ვლ. გუნია.**

გამომცემელი **ე. ბელიშვილი.**

განცხადებანი

პირველი სტენოგრაფიული კურსები კავკასიაში

ოჰანეს აკოფიანი

ტფილისი, განთვის ქუჩა, № 7.

სტენოგრაფია არის ისეთი ხელოვნება, რომელიც კაცს შეძლებს ძლევს ისევე ჩქარა სწეროს, როგორც ლაპარაკობს.

კურსებზე სწავლება რუსულად. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის სწავლება მიწერ-მოწერით.

მოსწავლეთა მიღება საღამოს 4—7 საათზე. გეგმები და პროგრამები მსურველთ კურსებზე მიეცემათ. (3—47—1)

ვიყვან

მოსწავლეებს I და II განყოფილებისათვის როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, ქართულ გიმნაზიისათვის, ხელმისაწვდენ ფასებში.

ადრესი: ორბელიანის ქუჩა, № 14, ი. კაპანაძე. (2—1)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

საჭირვა

თანამშრომელნი ორისავე სქესისა

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის, მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ ვგზავნით.

პირველი კავკას. ამხანაგობა

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ дз 15 и 5. (100—71—100)

საოჯახო სასტუმრო „Семейные номера"

შუა ქალაქში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, ელისაბედის ქუჩაზე, სახლი მილოვისა, № 1. იძლევა ქირით ოთახები თვიურად და დღიურად. თვიურად 15 მანეთიდან 50 მანეთამდე და დღიურად 60 კაპ. 2 მანეთამდე ოთახები მშრალი, თბილი და ნათელია. შეიძლება ოთახების გაქირავება ჭამა-სმითაც. სრული მშვიდობა და მყუდროება.

ყველას ვთხოვ ჩემი მანეთიანი ოთახი შეადაროს სხვის ორ მანეთიან ოთახს. (20—509—16)

ტფილისის საურთიერთო კრედიტის მეორე

საზოგადოებისაგან

საზოგადოების წევრთა პირველ საზოგადო კრების ოქმიდან ამონაწერი: 7 ივნისს 1907 წელს საზოგადოების წესდების დამტკიცებისა და ამავე წლის 15 ნოემბერს (№ 69) კანონთა კრებულში ამ წესდების გამოქვეყნების შემდეგ, 1907 წლის 23 დეკემბერს მოხდა პირველი საზოგადო კრება წევრებისა. სულ წევრი ჰყავდა საზოგადოებას 1054, რომელთა თანხაც უდრიდა 48750 მან.; აქედან კრებაზე გამოცხადდა 437 წევრი 17565 მან. თანხით. წესდების მე-34 და 35 §§-ის მოთხოვნილებათა შესრულების შემდეგ, საზოგადო კრებამ, როგორც კანონიერად მომხდარმა, ჯერ დაამტკიცა პროექტი სავარაუდო ხარჯისა, 1908 წლისთვის, რაიცა უდრის 1250 მან., მერე კენჭის ყრით აირჩია: 1) საბჭოს წევრებად—ე. ტ. აფრიკიანი, ს. ს. არუთინოვი, დ. ბ. ავანიუზბაშევი, ა. ი. გრეებინი, ნ. ფ. ტიგრანოვი და ა. ნ. სკილინოვი; გამგეობის წევრებად—ხ. ა. ვერმიშევი, ზ. დ. მამულოვი და ს. ა. ბალაგიანი; სარევიზიო კომისიის წევრებად—ტ. მ. ფილოიანი და ა. ხ. ქალანთაროვი.

საზოგადოება მოქმედებას იწყებს ამა წლის 25 იანვრიდან და მოახდენს ყოველ საბანკო ოპერაციას, რის ნებაც წესდებითა აქვს.

საზოგადოება აძლევს:

1. მიმდინარე ანგარიშით უბრალო	4%	4. შეტანილი ვადით 6 თვემდე	5½%
2. „ „ პირობითი	4½%	5. „ „ 12 თვემდე	6%
3. შეტანილი მოთხოვნამდე	1½%	6. „ „ მეტ დროზე	შეთანხმებით

საზოგადოება იღებს:

1. 3 თვის ვადიან თამასუქ. განაღდება	8%	3. სესხი უზრუნველყ. ქაღალ. სარგებ.	8½
2. 6 თვის „ „ „	10%	4. არა უზრუნველყოფილ „ „	9

სხვა ოპერაციების პირობათა შესახებ ცნობების მიღება შეიძლება გამგეობაში.

საზოგადოება მოთავსებულია მანთაშევის ქარვასლაში შუა ბაზარში.

კასსა ღიაა 10—3½ საათამდის.

საზოგადოების წევრები იწვევენ გამგეობაში დაწესებული ვალდებულებებზე ხელის მოსაწერად და თავიანთ მოქმედებათა შესახებ ცნობები წარსადგენად. ეს ცნობები საჭიროა მიმდინარე კომიტეტისთვის.

საზოგადოების მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის განყოფ. ლ. № 30007.

საზოგადოების ტელეფონი № 621. (1—46—1)